საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/48

ქ. ბათუმი 12 სექტემბერი, 2016 წ

ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებიდან და ზოგიერთი ფაკულტეტიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 14 ივნისის №70/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დირექტორებისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის N01 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსის დიანა ახვლედიანის 2016 წლის 06 სექტემბრის MES 7 16 01030593 სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების არჩევნები, თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან (ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი; აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი; ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი) ერთი წარმომადგენელის, ასევე ფაკულტეტებიდან: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან 1 (ერთი) სტუდენტის და ტურიზმის ფაკულტეტიდან 1(ერთი) სტუდენტის არჩევის მიზნით, უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების დარჩენილი ვადით/2014 წლის ნოემბერში არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადით (2018 წლის 15 ნოემბრამდე).
2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალის მიერ აირჩევა ამავე ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენელი.

3. ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულებიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 26 სექტემბერს, 15 საათიდან 17 საათამდე (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს სამუშაო ოთახში).

4. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან და ტურიზმის ფაკულტეტიდან წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა (სტუდენტების) არჩევნები ჩატარდეს - 2016 წლის 7 ოქტომბერს, 10 საათიდან 17 საათამდე (საარჩევნო ოთახები გამოიყოფა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ და ინფორმაცია განთავსდება ბსუ-ს ვებგვერდზე). წარმომადგენლობითი საბჭოს წევრად ფაკულტეტის ყველა სტუდენტის (მათ შორის ასისტენტის) მიერ აირჩევა ამავე ფაკულტეტის სტუდენტი.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი №4) უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 16 საათამდე;

ა) სამეცნიერო პერსონალისა - 2016 წლის 12 სექტემბრიდან – 2016 წლის 22 სექტემბრის ჩათვლით.

ბ) სტუდენტებისა -2016 წლის 26 სექტემბრიდან – 2016 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.

6. კანდიდატებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინონ:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ბსუ-ს შესაბამისი სამეცნიერო თანამდებობის დაკავების შესახებ (სამეცნიერო პერსონალისათვის);

დ) სტუდენტის სტატუსის შესახებ (სტუდენტთათვის).

7. ბსუ-ს საარჩევნო კომისიას ეთხოვოს არჩევნების ორგანიზება-ჩატარებისათვის ბსუ-ს წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

8. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის წევრებს.

9. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს შესაბამისი ფაკულტეტების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი მ.ხალვაში